ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 59

« 26 » თებერვალი 2016 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-61 მუხლის მე-2 პუნქტის, 106[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის, პირველი კარის II თავისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 17 თებერვლის №07.04.137 განკარგულების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიზანშეწონილად ჩაითვალოს და თანხმობა მიეცეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი“ (ს/კ №405089906) ლიკვიდაციის თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი